ბავშვობიდან საყვარელი სიტყვა და სურნელი

ბაზრები, ვაშლები, თანამემამულეები



უკვე 22 წელია საქართველოში ვცხოვრობ, ჩემი შვილები აქ დაიბადნენ და უკვე სტუდენტები არიან. მაგრამ მე უზბეკეთში დავიბადე, სადაც 1944 წელს მამაჩემი გადაასახლეს. სხვადასხვა წლებში ჩვენი ოჯახი სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში ცხოვრობდა და ყველგან იყო „საკოლმეურნეო ბაზრები» (ასე ერქვა მათ), სადაც ჩვენ ბოსტნეულს, ხილსა და სხვა პროდუქტებს ვყიდულობდით. სკოლის წლები აზერბაიჯანში გავატარე და ძალიან მიყვარდა მამასთან ერთად ბაზარში სიარული. იქ შეხვდებოდით როგორც ადგილობრივ ადამიანებს, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ მოვაჭრეებს. იმ დროიდან მოყოლებული, ყოველთვის მომწონს ადამიანთა სახეების, ენების კალეიდოსკოპი და საქონლის მრავალფეროვნება.

მამაჩვენს კი საოცარი უნარი ჰქონდა და ის ყველას ძალიან აკვირვებდა. მას შეეძლო, გარეგნობით, იერით, სახის ნაკვთებით გამოეცნო ადამიანის გვარ-ტომობა, ანუ მისი ეთნიკური კუთვნილება. ხოლო მას შემდეგ, რაც, ცოტას გაესაუბრებოდა თანამოსაუბრეს, მის ლაპარაკს მოისმენდა და მის მიხვრა-მოხვრასა და მიმიკას დააკვირდებოდა, მამა ეკითხებოდა: «მითხარით, გეთაყვა, თუ შეიძლება, შემთხვევით წარმოშობით ამა და ამ ადგილიდან ხომ არა ხართო?» და იცით, არ მახსოვს, მამა ერთხელ მაინც შემცდარიყო. საღამოობით კი, ბაზრის შემდეგ, მე და მამას საინტერესო ლაპარაკი გვქონდა ხოლმე სხვადასხვა კავკასიელი (და არა მარტო) ხალხების სახის ნაკვთების, მეტყველებისა და აქცენტის თავისებურებაზე. შემდეგში გარკვეულწილად მეც ვისწავლე ადამიანის შეცნობა მისი გარეგნობისა და მეტყველების მიხედვით.

მამაჩემს, ლატიფშაჰ ბარათაშვილს, ძალიან უყვარდა ხილი, განსაკუთრებით ვაშლი, მაგრამ არა მარტო უყვარდა, არამედ ის ჩინებულად ერკვეოდა სხვადასხვა ჯიშების თავისებურებებში.

მას შეეძლო თვალდახუჭულს სუნის მიხედვით გამოეცნო ვაშლის ჯიში. ხოლო მას შემდეგ, რაც გემოს გაუსინჯავდა, შეეძლო ეთქვა, სად, რომელ მიწაზე გაიზარდა ეს ვაშლის ხე. თუმცა როგორი გემრიელი ვაშლიც არ უნდა გვეყიდა, მამა ყოველთვის ამბობდა: «ვერანაირი ვაშლი ვერ შეედრება ჩვენებურ, უდეს სინაფს!» ზოგჯერ ბაზარში საქართველოდან ჩამოსული ვაშლის გამყიდველი გვხვდებოდა. მაშინ ჩვენ ბაზრიდან შინ დაბრუნება გვიგვიანდებოდა და მე ქართულ ენაზე წარმოებული დიალოგის მოწმე ვხდებოდი ხოლმე. ერთმა ქართველმა მებაღე-გამყიდველმა გულწრფელად გაიოცა: «აზერბაიჯანში პირველად ვხვდები მასწავლებელს, რომელიც ასე შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად!“ ასეთი შეხვედრების შემდეგ მამა კარგახანს იყო ხოლმე სიხარულისგან აღელვებული.

ერთხელ კი უჩვეულო ამბავი მოხდა. ბაზარში უდეში მოყვანილ ვაშლს გადავაწყდით, მას ჰყიდდა გლეხი, რომელიც მამას მშობლიური სოფლიდან, უდედან იყო, ეს სოფელი საქართველოს ადიგენის რაიონშია. ამჯერად შეხვედრა ბაზარში გამართული დიალოგით არ დამთავრებულა. მამამ ეს ადამიანი ჩვენთან დაპატიჟა და სახლში ნამდვილი ზეიმი გვქონდა. ორი უდელი დიდხანს საუბრობდა, ჩვენ, ბავშვები, გვიან დავწექით დასაძინებლად, ისინი კი ისევ საუბრობდნენ. მერე მამა რამდენიმე დღე რაღაცას იწერდა, ჩვენ კი ჩვენი სოფლის სხვადასხვა ახალი ამბები გვიამბო. და სიცოცხლის ბოლომდე დროდადრო ის ბევრს გვიყვებოდა ჩვენი სოფლის შესახებ, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებთან დაკავშირებულ ამბებს. ისე რომ, მე ბავშვობიდან მიყვარს სიტყვა «უდე» და ვაშლის სურნელი და შემიძლია უსასრულოდ ვილაპარაკო ამაზე. გიამბობთ მხოლოდ იმაზე, რაც ჩემი აზრით მთავარია.

სამცხის ყველაზე დიდი და ძველი სოფელი

ჩემი საგვარეულო სოფელი უდე ძველი მესხეთის ერთ-ერთი მშვენიერი ადგილია. შეუძლებელია ავტოტრასიდან არ დაინახოთ იგი. ხოლო თუ მის შემოგარენს დაივლით, არა მხოლოდ საუკუნეების, არამედ ათასწლეულების ნაკვალევსაც აღმოაჩენთ. აქ ცხოვრობდა უძველესი ხალხი თავისი ღმერთებითა და სარწმუნოებებით. ძველი ბერძნები, პონტოს მხარეს რომ ითვისებდნენ, საკუთარ კულტურას და საკუთარ ღმერთებს ამკვიდრებდნენ აქ. მერე ისინი რომაელებმა შეცვალეს. ამ ადგილებში გაჩნდა ქრისტიანობის პირველი კერები, აქ შეიცნო ქართული სამთავროს მოსახლეობამ ისლამი, აქ ჩაისახა ქართული სახელმწიფოებრიობა.

საქართველოში ახლაც გვხვდება ძველბერძნული სიმბოლოები, როგორც ძველი ერთიანი სამყაროს მოწმობანი. საბერძნეთში კი, თავის მხრივ, ზოგი ელემენტი ძველი ეგვიპტიდან შემოვიდა. აქედანვე მომდინარეობს ცხვრის კულტიც, რომელმაც ჩვენამდეც მოაღწია. მაგალითად, ჯაყელების გერბზე (სამცხის გერბი), ცხვარია გამოსახული. უდეს ძველ სასაფლაოზეც (ფოტოზე) შემორჩა ცხვრების რამდენიმე ქანდაკება. ეგვიპტეში კი, კარნაქის ტაძრის წინ უკვე ათეულობით საუკუნეა არსებობს ცხვრისთავიანი სფინქსების უძველესი ხეივანი (იხ. ფოტო). უდეს უძველესი სასაფლაოს ოქროსფერი ხავსით დაფარული ცხვრების სხეულები კი «ოქროს საწმისის» მითს შეგვახსენებს.

მოგვიანებით ძველბერძნული გამგებლობა რომის იმპერიის ხელისუფლებამ შეცვალა. ჩვენმა მხარემ უამრავი მეომარი ტომისა და იმპერიის შემოსევები გადაიტანა. ეს იყო მონღოლების ურდოები, თემურლენგის შემოსევა, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიები.

ჩვენი საგვარეულო და უდე

ჩვენი, ბარათაშვილების, მოდგმა უძველესი დროიდან უკავშირდება სოფელ უდეს. თუმცა ბარათაშვილების გვარი წერილობით (დოკუმენტურად) პირველად 1578 წელს იქნა დაფიქსირებული. როდესაც ოსმალოებმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრეს, ჩატარდა მოსახლეობის აღწერა იმისთვის, რათა დადგენილიყო, თუ რამდენი სულადობის გადასახადი ერგებოდა ოსმალურ ხაზინას. შედგენილი იქნა აღწერის სპეციალური წიგნი. მას «გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი» ერქვა. იმხანად მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირზე მდებარე უდეში 122 კომლი იყო. და აი, ამ საბუთის 51-ე გვერდზე გადასახადების გადამხდელად სოფელ უდეში მცხოვრები ერთ-ერთი ჩემი წინაპარია დაფიქსირებული. მაშინ სოფლის მთელი მოსახლეობა ჯერ კიდევ მხოლოდ მართლმადიდებელი რწმენის იყო, ასეა რომ, გვარი ბარათაშვილი მრავალი საუკუნეა გნუყრელად არის დაკავშირებული სოფელ უდესთან. «დიდ დავთარზე» ადრინდელი წერილობითი მოწმობა უბრალოდ არ არსებობს. ახლაც ძნელი განსასჯელია სოფელი უფრო ძველია თუ ჩემი საგვარეულო. გამორიცხული არ არის, ჩემი წინაპრები სოფელ უდეს ერთ-ერთი დამაარსებლები ყოფილიყვნენ.

მოგვიანებით, 100-150 წლის განმავლობაში ზოგმა უდელმა კათოლიკობა მიიღო, სხვებმა – ისლამი. ზოგი ბარათაშვილი ოსმალებს იმერეთში გაექცა, ისინი მართლმადიდებლებად დარჩნენ. მათ კი, ვინც სოფელში, მშობლიურ მიწაზე დარჩნენ, ისლამი მიიღეს. 1944 წელს ყველა უდელი ბარათაშვილი, ისევე, როგორც მესხეთის მთელი მაჰმადიანი მოსახლეობა, საბჭოთა რეჟიმის მიერ შუა აზიაში იქნა გადასახლებული.

ახალციხის მაზრის 1842 წლის სოფელ უდეს სახაზინო გლეხების კამერალურ სიებში #22-ად დაფიქსირებულია ჩემი მეორე წინაპარი დადა, პაპაჩემის პაპა - 40 წლის, და მისი ვაჟი ტაირი – 6 წლის. საბუთში მისი ქონების ჩამონათვალიც არის მოყვანილი, მათ შორის «*32 კოდი ხორბალი, 48 კოდი ქერი, 48 კოდი სიმინდი, 2 კოდი ლობიო, ხეხილის ბაღი – 40, 9 ც. რქოსანი საქონელი, 13 ცხვარი, ჩინებულ მდგომარეობაში*» (1842 წ. ტფილისის სახაზინო პალატა, ფონდი 243, აღწერა 1, არქივი №1945).

პაპაჩემის ძმა (ხსენებული დადას შვილიშვილი) თავის სწავლასთან დაკავშირებით მოხსენიებულია ცნობილი ქართველი გეოგრაფის ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომში: *„სოფელ უდეში ჯერ კიდევ 1828 წელს აშენებულ სამინისტროს სკოლაში 80*

ძმები მარატი და ბარათი საუბრობენ თანასოფლელებთან

მოსწავლე სწავლობს, ამათში მხოლოდ ერთი ყმაწვილი დადის მაჰმადიანისა, გვარად ბარათაშვილისა». («წერილები ქვაბლიანიდან», 12 ივნისი, 1901 წ., გაზეთი «ივერია», №125). ლაპარაკია ბიძაჩემ მალიქშაჰ ბარათაშვილზე. 1913 წელს მალიქშაჰმა დაამთავრა ახალციხის გიმნაზია, რის შემდეგაც ქვაბლიანის ბოქაულის, ისა-ბეკ ხიმშიაშვილის კანცელარიაში შეუცვლელი ადამიანი გახდა.

მეწშევიკების მთავრობის დროს (1917-21 წ.წ.) მალიქშაჰი აჭარაში, სოფლების გონიოსა და სარფის ადგილობრივი ხელისუფლების მდივნად მუშაობდა. იმ წლებში ბათუმში ხელისუფლება ხშირად იცვლებოდა. 1918 წ. თურქებმა ბრესტის ზავი დაარღვიეს და ქალაქი დაიკავეს. მათ შემდეგ ქალაქი ინგლისელებმა დაიკავეს. 1919 წლის დამდეგს ბათუმში ნაპირზე ბრიტანული დივიზია გადმოვიდა. მალიქშაჰი ღამე ინგლისელებს გონიოდან ფოთში გამოექცა. ქვაბლიანის გასაბჭოების შემდეგ ის ჯერ უდეს თემის რევკომად დანიშნეს, მერე კი სოფელ ვარხანის რევკომად, ხოლო 1928 წელს – აწყურის რევკომად. შედიოდა სიგნალები იმის შესახებ, რომ აწყურის მილიციის მაშინდელი უფროსი გამოძალვას ეწეოდა, მალიქშაჰი მის მხილებას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო. 1923 წლის 19 ნოემბრის ღამეს ის ზურგში გასროლით მოკლეს.

უდეს გვარები

თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობამდე მთელი ადგილობრივი მოსახლეობა მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო და ოსმალოთა შემოსვლამდე ცხოვრება ქრისტიანული ფეოდალური ტრადიციების შესაბამისად მიედინებოდა. ოსმალური უღლის დროს უდელების ნაწილი ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში და საქართველოს სხვა კუთხეებში გაიქცა. მათ შორის იყვნენ: ავალიშვილები, გოგორიშვილები, გუგუნავები, ჯაყელები, დიასამიძეები, დოლენჯაშვილები, ზედგინიძეები, კავკასიძეები, ქობულაშვილები (ქობულისძეები), სუმბათაშვილები, თავდგირიძეები, თუხარელები, თაქთაქიშვილები, ხერხეულიძეები, ხიმშიაშვილები, ციციშვილები, შალიკაშვილები და სხვები.

ისინი კი, ვინც სოფელში დარჩნენ, ყველანი იძულებულები იყვნენ სარწმუნოება გამოეცვალათ. ნაწილმა კათოლიკობა მიიღო, სხვებმა – ისლამი.

მამაჩემი დეპორტაციამდე ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა უდეში, ამზადებდა სხვადასხვა მეცნიერულ ნაშრომებს ტოპონიმიკაში, ეთნოგრაფიაში. ამავე პერიოდში თავისი მოსწავლეების დახმარებით თანასოფლელთა 58 საგვარეულოს გენეალოგიური რუკები აღადგინა და დახაზა. მამაჩემის კლასიფიკაციით შეიძლებოდა უდელთა გვარები 3 ნაწილად ყოფილიყო დაყოფილი:

1. გვარები, რომლებიც მაჰმადიანებსაც აქვთ და კათოლიკეებსაც. მაგალითად, კიკნაძე, პეტაშვილი, ჭილაშვილი და სხვ.

2. გვარები, რომლებიც მაჰმადიანებს აქვთ, კათოლიკეებს კი _ არა. მაგალითად: ბაქრაძე, ბარათაშვილი, ბერიძე და სხვ.

3. გვარები, რომლებიც აქვთ კათოლიკეებს, მაგრამ არ აქვთ მაჰმადიანებს. მაგალითად, ბალახიშვილი, ზაზაშვილი (წარმოშობით ისინი ებრაელები არიან), მერაბიშვილი და სხვ.

უდელთა ურთიერთპატივისცემა და თანადგომა

თანასოფლელთა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის სხვადასხვა ფორმები ფართოდ არის გავრცელებული როგორც სხვადასხვა კავკასიელ ხალხებში, ისე საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებში. მაგრამ უდელების ურთიერთობებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. უდელ ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის განსაკუთრებული მეგობრული დამოკიდებულება იყო. მაგალითად, უდელ კათოლიკეებს მეურნეობაში ღორები არ ჰყავდათ, რათა მაჰმადიანი თანასოფლელების რელიგიური გრძნობები არ შეელახათ.

მოხუცთა დაფასება და ზოგადად უფროსების პატივისცემა ყველა უდელის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ხანდაზმული უდელები

«რიყა» სულიკო (ცენტრში) ჩემს ძმასთან, ბარათთან და ჩემს ცოლთან, ლიდასთან ერთად

მიტოვებული სახლი უდეში

დაფასებისა და პატივისცემის სხვადასხვა ფორმებით ახლაც სარგებლობენ. მაგალითად, სუფრაზე ასაკით უფროსს ყოველთვის პირველი ადგილი ეკუთვნის. ახალგაზრდა კაცი არასდროს ჯდებოდა საპატიო ადგილზე, რადგანაც თუ მოულოდნელად პატივსაცემი ადამიანი გამოჩნდებოდა, ახალგაზრდა იძულებული იქნებოდა, მისთვის შეუფერებელი საპატიო ადგილიდან გადამჯდარიყო. ეს კი მას ჩვეულებების უცოდინარი ადამიანის დაღს დაასვამდა. და ეს არანაირად არ იყო იმაზე დამოკიდებული, ვინ კათოლიკე იყო და ვინ მაჰმადიანი.

ურთიერთდახმარებას უდელ თანასოფლელებს შორის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან შემთხვევაში ჰქონდა ადგილი: დაქორწინებისას, ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, სხვადასხვაგვარი სამშენებლო თუ აღდგენითი სამუშაოების დროს...

ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ნებისმიერ დროს შრომატევადი პროცესია, საშუალო შემლების უდელები, ჩვეულებრივ, ორ-ორი ოჯახი, ერთიანდებოდნენ და გაზაფხულის დადგომისას ხვნა-თესვის ერთობლივ სამუშაოებს იწყებდნენ.

ისინი წინასწარ თანხმდებოდნენ ერთმანეთში – ვინ რამდენ გამწევ საქონელს, ფურაჟს გამოყოფდა, ვინ და როგორ უზრუნველყოფდა ჭამა-სმას და ა. შ. ამგვარი შეთანხმება წლის ბოლომდე მოქმედებდა. და თუ გაირკვეოდა, რომ ოჯახები კმაყოფილები იყვნენ თანამშრომლობით, მაშინ ისინი მომავალი წლისთვისაც აერთიანებდნენ ძალისხმევას. ასეთ კოალიციას უდელები «მოდგმას» ეძახდნენ. პრაქტიკულად კი ეს სეზონური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროის მანძილზე დანათესავებასავით იყო. თუ ორივე ოჯახი მაჰმადიანური იყო, შეიძლებოდა ზოგჯერ შეთანხმების პირობების არაკეთილსინდისიერ შესრულებას ჰქონოდა ადგილი, ხოლო თუ «მოდგმები» მაჰმადიანური და კათოლიკური ოჯახები იყო, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში არანაირ გაუგებრობებს არ ჰქონდა ხოლმე ადგილი.

სიმართლე და მითები 1919 წლის შესახებ

ამ ბოლო წლებში მთელი რიგი «ექსპერტებისა», «პოლიტოლოგებისა» და «პოლიტიკოსებისა» ბევრს ვარჯიშობს ინტერპრეტაციებში თემაზე: მაინც რა ხდებოდა ამ არეულ დროში ჩვენს უდეში. ყველა ეს ვერსია თავისი ფორმით უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. ისინი ფაქტიურ მასალას კი არ ეფუძნება, არამედ ჭორებს და «თვითმხილველთა» მონათხრობს ეყრდნობა. მაგრამ შინაარსით ყველა ეს ვერსია იდენტურია. ამ ინტერპრეტატორებს რომ მოვუსმინოთ (არადა, ბევრი უსმენდა და უსმენს მათ), გამოდის, რომ 1919 წელს მანამდე მშვიდობიანი და უწყინარი უდელი მაჰმადიანები უცბად ყველანი ერთბაშად თურქ ჯაშუშებად და დივერსანტებად გადაიქცნენ. რომ მათ უთვალავი უბედურება მოიტანეს და რომ ისინი ლამის პირდაპირი გაგებით სვამდნენ თანასოფლელ კათოლიკეთა სისხლს.

აი რას გვიამბობდნენ პაპაჩვენი მაქსუდი და მამაჩვენი ლატიფშაჰი, რომლებიც ამ მოვლენების მოწმეები და მონაწილეები იყვნენ. ასე და ამრიგად, სოფელი უდე, 1919 წელია, მთელ მესხეთში არანაირი რეალური სამხედრო ძალა არ ყოფილა, რომელიც კანონიერად არჩეულ მენშევიკების მთავრობას დაემუქრებოდა. მაგრამ 1919 წლის იანვარში მთავრობის წარმომადგენლებმა ანაზდად პანიკა ატეხეს და სასწრაფოდ დატოვეს რეგიონის ტერიტორია. ისარგებლეს რა ხელისუფლების არარსებობის სიტუაციით, იანვრიდან მარტამდე უდეში მოროდიორთა სხვადასხვა რაზმებმა დაიწყეს შემოსვლა. მათ შორის ფოცხოველი ბანდიტებიც იყვნენ, და სხვადასხვა ავანტიურისტთა შეიარაღებული ჯგუფებიც. ისინი ისროდნენ, ძარცვავდნენ, მერე კი იქაურობას ტოვებდნენ.

1919 წ. იანვარ-მარტში უდელმა მაჰმადიანებმა ღირსეულად ჩააბარეს ცხოვრების გამოცდა და დაამტკიცეს საკუთარი მეგობრული დამოკიდებულება კათოლიკე მეზობლებთან. მთელი ეს სამი თვე უდელი კათოლიკეები ახალციხეში იმალებოდნენ. ბევრი მათგანის სახლ-კარი უდეში უპატრონოდ იყო დარჩენილი. გაქცევის წინა ღამით უდელმა კათოლიკეებმა საკუთარი სახლები მაჰმადიან მეზობლებს ჩააბარეს და მშვიდად იყვნენ. ასე მაგალითად, სტეფანე გზირიშვილმა და მიხა ტატო-

შვილმა პაპაჩემს, მაქსუდს, სთხოვეს მათი სახლებისთვის მიეხედა. მათი სახლები უვნებლები დარჩა. საბოლოო ჯამში კათოლიკეთა ასამდე სახლს ამ არეული თვეების მანძილზე მეზობლები, უდელი მაჰმადიანები იცავდნენ, მათი კათოლიკე პატრონები კი ამ დროს ახალციხეში იმალებოდნენ.

მაგრამ სოფელში რჩებოდნენ ის კათოლიკეები, რომლებიც ვერ გაიქცნენ - ობლები, უპოვარები, მოხუცები, უპატრონოები. ყველას მათ - 200-ზე მეტ ადამიანს - სამი თვე უდელი მაჰმადიანები საკუთარ სახლებში მალავდნენ და ინახავდნენ, მათ შორის 12 უდელ კათოლიკეს პაპაჩემი მაქსუდ ბარათაშვილი მალავდა ჩვენს სახლში.

მნიშვნელოვანი საქმეები უდეს გარეშე არ წყდება.

1929 წლის ბოლოს უდეში სპეციალურად მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით ახალციხის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ქათიბ იუსუპოვი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე მოსათათბირებლად ჩამოვიდა. მან სოფლის აქტივისტებს აცნობა, ვინაიდან ქვაბლიანი (მანამდე არსებობდა მაზრის ცალკე ქვაბლიანის მონაკვეთი) ახალციხიდან შორს არის, ის უნდა გამოეყოს და დამოუკიდებელ რაიონად გადაიქცესო და რჩევა ჰკითხა, სად შეიძლება ახალი რაიონის ცენტრი იყოსო. თავიდან რაბათი შესთავაზეს. მაგრამ ეს პატარა, უმნიშვნელო დასახლებული პუნქტი იყო. ბოლოს უდელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რაიონის ცენტრი უნდა გამხდარიყო ახალციხე-ბათუმის გზატკეცილზე (სოფელ ადიგენის ქვემოთ), ქვაბლიანის მარცხენა ნაპირზე მდებარე პუნქტი. და მას (ისევე როგორც მთელ რაიონს) უნდა ეწოდოს ადიგენი. ასე გაჩნდა 1930 წელს მესხეთში ერთიანი ახალციხის მაზრის ნაცვლად სამი ადმინისტრაციული რაიონი: ახალციხის, ადიგენის და ასპინძის.

მაგრამ უდელებმა, ისევე, როგორც ამ რაიონების ყველა მცხოვრებმა, სრულად გამოსცადეს საკუთარ თავზე საბჭოთა ხელისუფლების სპეციფიკური პოლიტიკა. 1937 წელს სამცხეს სამ რაიონში დამთავრდა ბოლშევიკური «კულტურული რევოლუცია». აქ უკვე 208 აზერბაიჯანული სკოლა აშენდა. ადიგენში, ბენარში, ახალციხეში, ასპინძასა და თბილისში გაიხსნა აზერბაიჯანული პედტექნიკუმები. ამ სკოლებში ყოველწლიურად ახალი კადრები იგზავნებოდა. ამ მასწავლებლებს ხელფასით საქართველო უზრუნველყოფდა, ხოლო პროგრამები, სასწავლო წიგნები და ა. შ. ბაქოდან მოდიოდა. ასობით ამზადებდნენ აზერბაიჯანულენოვან ხელმძღვანელ კადრებს. აზერბაიჯანულ ენაზე გამოდიოდა რესპუბლიკური გაზეთი «სოვეტ გურჯისტანი» («საბჭოთა საქართველო»), ახალციხის რაიონული გაზეთი «კომუნისტი», ადიგენის რაიონული გაზეთი «ადიგიონ კოლხოზჩუსუ» («ადიგენის კოლმეურნე») და ასპინძის რაიონული გაზეთი «ბაღბან» («მებაღე»).

ჩემი პირველი ჩასვლა უდეში

უდეში პირველად 1988 წლის გაზაფხულზე ჩავედი, როდესაც ოჯახითურთ საქართველოში გადმოვედი. დეპორტირებულ მესხთაგან პირველი მე ვიყავი, ვინც ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ლეგალურად დასახლდა ახალციხეში. მაინც როგორ მოვახერხე, _ ეს ცალკე ისტორიაა. მაგრამ მანამდე რამდენიმე თვე თბილისში ყოფნა და შრომის სახკომსა და ვიზების და რეგისტრაციის განყოფილებნაში აუცილებელი ქაღალდების მოპოვება მომიხდა.

მესხური საკითხის ზოგი მცოდნე ირწმუნება, საქართველოდან შორს დაბადებულებს, რომლებმაც თავის შესახებ მხოლოდ უფროსების მონაყოლით იციან, მესხეთი რაღაც არარსებულ ზღაპრულ სამოთხედ წარმოუდგენიათ და აქ რომ ჩამოვლენ, მათ გარდაუვალი გაწბილება ელითო. ჩემი საკუთარი მაგალითით მინდა გითხრათ, რომ ეს სისულელეა! იმიტომ რომ, სინამდვილეში, როცა ავტობუსით თბილისიდან ახალციხეში პირველად მივემგზავრებოდი, დავინახე, რომ ხაშურის შემდეგ მართლაც სამოთხის კუთხე იწყება. ეს შთაბეჭდილება სმოლენსკელმა საბჭოთა მესაზღვრემაც კი ვერ წამიხდინა. მაშინ აწყურის შესასვლელთან სასაზღვრო პოსტი იყო და სპეციალური ქაღალდების გარეშე გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო. პირველ ხანებში, ვიდრე ხელისუფლებასთან ფორმალური საკითხები მოგვარდებოდა, ახალციხის სასტუმროში ვცხოვრობდით. უქმე დღე შევარჩიეთ და დილიდანვე ავტოსადგურიდან უდეში გავემგზავრეთ.

სამნი ვიყავით: მე, ჩემი ცოლი ლიდა და ჩემი ძმა ბარათი. «პაზიკიდან» სოფლის ცენტრში კათოლიკურ ეკლესიასთან გადმოვედით. ვიცოდით, რომ მამაპაპეული სახლი ზედ ეკლესიის პირდაპირ იდგა. გამვლელებს მივესალმეთ, გავეცანით და სოფელში ამბავი გადასცეს: «ლატიფშაჰის შვილები ჩამოვიდნენ!» ხალხმა მოსვლა დაიწყო. ზოგს სამუშაო ტანსაცმელი ეცვა, სხვებს - ინტელიგენტთაგანებს ჰალსტუხები ეკეთათ. ქალებიც იყვნენ და კაცებიც. მოხუცები წუხდნენ, ლატიფშაჰი ცოცხალი აღარ ყოფილაო. გვიყვებოდნენ მამაჩვენის, პაპა მაქსუდის, ბიძაჩვენებისა და დეიდა-მამიდების შესახებ. ცხოველ ინტერესს იჩენდნენ ყველა ჩვენგანისადმი, ვინ, სად, რას ვსაქმიანობდით... ძალიან გულთბილი და ხანგრძლივი საუბარი

გვქონდა. მერე უდელები კარგახანს ბჭობდნენ, რომელ სახლში უნდა ემასპინძლათ ჩვენთვის, თითოეული ცდილობდა თავისი არგუმენტები მოეყვანა, ირწმუნებოდა, რომ სწორედ ის იყო ბარათაშვილებთან ყველაზე ახლოს. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ გაიმარჯვა ერთმა მამაკაცმა, სახელად სულიკომ, აღარ მახსოვს, დაგვისახელა თუ არა ამ ადამიანმა თავისი გვარი. გვითხრა, რომ მამაჩვენის უმცროსი ძმის, ფახოს თანასკლასელი იყო. *«ფახო სკოლაში ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო,* - გვითხრა მან, - *შეუთვალეთ მას სამარყანდში, «რიჟა» სულიკო მოკითხვას გითვლისო. ფახო მაშინვე გამიხსენებს».*

სფინქსები ეგვიპტეში, კარნაკის ტაძართან

სულიკოს სახლში ნამდვილი პურმარილი გაგვიმართეს. მასპინძელი დაწვრილებით გვიყვებოდა, როგორ ჩადიოდნენ ის და ბიძაჩვენი ფახო მდინარეზე სათევზაოდ. აქ, მთებში, ნიადაგი სხვადასხვა მარილებს შეიცავს და უხვი წვიმის შემდეგ თევზი პატარა მდინარეებში, სადაც მლაშე წყალი ჩაედინებოდა, ზედაპირზე ამოდიოდა და მისი დაჭერა შიშველი ხელებით შეიძლებოდა. ბევრი ვილაპარაკეთ ყველაფერზე, რაც კი უდეს და უდელებს ეხებოდა, თურმე ჩვენს თანასოფლელებში ბევრი გამოჩენილი ადამიანი ყოფილა. ზოგ უდელს განათლების საფრანგეთში მიღება მოეხერხებინა.

დამამახსოვრდა პოლ მერაბის (პეტრე მერაბიშვილის) ამბავი. ის XIX საუკუნის დაიბადა, და 1930-ში საფრანგეთში გარდაცვლილა. სორბონაში სწავლობდა და ეთიოპიის იმპერატორის პირადი ექიმი ყოფილა. ფარმაცევტული კვლევებითაც ყოფილა დაკავებული. პირველი მსოფლიო ომის დროს პოლ მერაბი მოხალისედ ყოფილა ფრანგულ არმიაში. პარიზში გამოუქვეყნებია მემუარები «შთაბეჭდილებები ეთიოპიაზე», ხოლო ადისაბებაში დაუფუძნებია პირველი აფთიაქი, რომლისთვისაც «ქართული აფთიაქი» უწოდებია. რა თქმა უნდა, იმ დღეს არ გამოგვიშვეს და ახალციხეში ვერ დავბრუნდით. ღამე სტუმართმოყვარე «რიჟა» სულიკოსთან გავათიეთ. სხვათა შორის, არა მარტო უდელი კათოლიკეები ეშურებოდნენ განათლების საფრანგეთში მიღებას. კიდევ ერთი უდელი - ზემოთ ხსენებული ფახო პაპას შვილიშვილმა 2009 წელს ჩააბარა პარიზის უნივერსიტეტში და ახლა იქ პოლიტოლოგობისთვის ემზადება.

ცხვარი უდეს ძველ სასოფლაოზე

უდე დღეს და ხვალ

სამწუხაროდ, დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, უდე, ისევე, როგორც სრულიად საქართველო, მთლად კარგ დღეში ვერ არის. სოფლის მოსახლეობა მცირდება. შობადობის კოეფიციენტი უკვე დიდი ხანია უარყოფითია, სიცოცხლის ხანგრძლივობა 60-65 წელია. განათლების მისაღებად ახალგაზრდობა ძირითადად ახალციხეში ჩადის, უფრო მოზრდილი ადამიანები საშოვარზე უფრო შორს მიდიან. აქ მიტოვებულ სახლებსაც შეხვდებით, რაც ადრე არ ყოფილა. დღეს სოფელში 3000-მდე ადამიანი ცხოვრობს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი დროებითია და ჩვენ ამას გადავიტანთ. მაგრამ უდეს მთავარ განსაკუთრებულობას ციფრებით ვერ აღწერ და ის შემდეგში მდგომარეობს.

1900-1908 წლებში უდელმა კათოლიკეებმა სოფელში ეკლესია ააშენეს. უდეს მაჰმადიანელთა იმამმა ეიუბ ჭილაშვილმა ამასთან დაკავშირებით თავის ქადაგებაში მეჩეთში განაცხადა, ეკლესიაც და მეჩეთიც უზენაესის სავანეა და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ეკლესიის აშენებას დაეხმარება, სახელდობრ კი, საშენ ქვას ზურგით აიტანს ეკლესიის მთაზე, «სავაბს» (ღვთის სასურველ საქმეს) დაიმსახურებს. თითქმის იმავდროულად

მშენებარე კათოლიკური ეკლესიის მღვდელმა სიმონ ჭილაშვილმა ეკლესიაში ვრცლად იქადაგა სოფელ უდეს მაჰმადიანელთა და კათოლიკეთა ძმობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სოფელში სასულიერო ხელისუფლების მეთაური ორივე ჭილაშვილი ერთმანეთის ნათესავები იყვნენ. ასე ააშენეს უდელმა კათოლიკეებმა და მაჰმადიანებმა ერთად ტაძარი, რომელიც დღესაც დგას.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ უდელებმა ტაძარზე ასეთი წარწერა გააკეთეს: «*უდეს არის კათოლიკები 2120 სული მაშენებელნი ამ საყდრისა, მაჰმადიანები 520 სული. ორივ ტომით ქართველნი*». ამრიგად, XX საუკუნის დამდეგს უდელთა გონებაში რელიგია ეროვნებასთან გაიგივებული არ ყოფილა. წინადადება «ქართული ტომის მაჰმადიანები» იმაზე მიანიშნებს, რომ ტერმინი «ქართველი» მათთვის უფრო ფართო მცნებად იქცა, ვიდრე მისი პირველდაწყებითი მნიშვნელობაა. ეს სიტყვა მაშინვე უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე «მართლმადიდებელი», უფრო მეტს, ვიდრე «მაჰმადიანი» ან კათოლიკე. ასე დაიწყო, ჩემს სოფელ უდეში მეფის რუსეთის დროს და ფარგლებში მომავალი საქართველოს სამოქალაქო ერის ჩასახვა.

მამაჩემი, მათ შორის, იმისთვისაც ცხოვრობდა, რომ მე თავისუფლად შემძლებოდა ბავშვობიდან საყვარელი უდური ვაშლის გემოთი და სუნით ტკბობა. რომ ჩემთვის ამაში არც სსრკ-ს შინსახკომს და არც მესაზღვრეებს არ შეეშალათ ხელი. და ეს უკვე აღსრულდა. ახლა ჩვენი ამოცანა საქართველოში სამოქალაქო ერის საბოლოო ჩამოყალიბება, ქვეყნის მცხოვრებთათვის ღირსეული მომავლის აშენებაა.

მარატ ბარათაშვილი
2010 წ.

გამოქვეყნებულია ჟურნალში «კავკაზსკი აკცენტ“ («Кавказский акцент») რუსულ ენაზე, №6, 2010 წ.
მთარგმნელი მანანა გელაშვილი